ძვირფასო კოლეგავ,

მოხარული ვიქნებით, თუ მონაწილეობას მიიღებთ, როგორც მომხსენებელი ა(ა)იპ ინტერდისციპლინური კვლევების საერთაშორისო ცენტრის მიერ ორგანიზებულ II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში-ინტერდისციპლიბური კვლევები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში-2025, რომელიც ჩატარდება 2025 წლის 19 ივლისს. კონფერენცია ეძღვნება სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალებიდან მე-300-ე წლისთავს.



გარდა მომხსენებლებისა, კონფერენციაზე დასწრება შეუძლიათ მსმენელებს, რომლებიც გაწევრიანდებიან ჩვენს ორგანიზაციაში. ისინი დაესწრებიან კონფერენციას, ხოლო შემდეგ დაათვალიერებენ მუზეუმსა და სხვადასხვა ღირშესანიშნაობებს ბოლნისში.

ბოლნისის მინიციპალიტეტში, სოფელ ტანძიის შესანიშნავი ბუნების წიაღშია დიდი ქართველი მწერლისა და დიპლომატის-სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმი. მომხსენებლებსა და მსმენელებს ვთავაზობთ მუზეუმის დათვალიერებას, სადაც ძვირფასი მასალებია დაცული სულხან-საბას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. სულხან-საბა ორბელიანი იყო პირველი ქართველი მწერალი და დიპლომატი, რომელმაც იმოგზაურა ევროპაში, რათა საქართველოს პოლიტიკური მოკავშირე მოეძებნა.

სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუზეუმი.

კონფერენციის დასრულების შემდეგ, მომხსენებლები და მსმენელები დაათვალიერებენ ბოლნისის ღირშესანიშნაობებს.

ერთ-ერთი ამ ღისშესანშნაობათაგან არის ბოლნისის ქართულ-გერმანული ღვინის სახლი, რომელიც 1915 წელს აშენდა და ეკუთვნოდა ბოლნისელ გერმანელს, მეღვინესა და მწერალს, კატარინენფელდის მევენახე-მეღვინეთა გაერთიანება "უნიონის ხელმძღვანელს იმანუელ ვალკერს.

გახადეთ ზაფხულის ერთი დღე სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დაუვიწყარი!